გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 131

2025 წლის 10 ოქტომბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გიორგი გოგშელიძეს შორის 2021 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული №18 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 იანვრის №2 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 იანვრის №3 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ/პ გიორგი გოგშელიძეს შორის 2021 წლის 5 ნოემბერს გაფორმდა პირობით გამოცხადებული აუქციონის №18 ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, დასახლება ჭალის, ჩუბინიშვილის ქუჩის მიმდებარედ; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1200 კვ.მ; ს/კ 66.45.31.489) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა საგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლამდელი, ზოგადი განათლების, პროფესიული და უმაღლესი განათლების), სამედიცინო დაწესებულების, სასტუმროს, სპორტული კომპლექსის ან სავაჭრო ცენტრის მშენებლობა (მიწის ნაკვეთზე დაუშვებელია ნებისმიერი სახის ავტოტექ. მომსახურების ობიექტის მშენებლობა) და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო გიორგი გოგშელიძის განცხადებები, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ ხელი შეეშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში, თუმცა, მიმდინარეობდა პროექტის მომზადება და მშენებლობის ნებართვის მიღება, ასევე, ნაკვეთის მომზადება მშენებლობისთვის, აღნიშნულიდან გამომდინარე, გიორგი გოგშელიძე აცხადებდა, რომ მთლიანობაში პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდებოდა 150000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია და ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ 2 (ორი) წლით. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელება კიდევ 1 (ერთი) წლით, რის გათვალისწინებითაც გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 ოქტომბრის №180 განკარგულებით მიეცა თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გიორგი გოგშელიძეს შორის 2021 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული №18 პრივატიზაციის

ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, დასახლება ჭალის, ჩუბინიშვილის ქუჩის მიმდებარედ; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1200 კვ.მ; ს/კ 66.45.31.489) საგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლამდელი, ზოგადი განათლების, პროფესიული და უმაღლესი განათლების), სამედიცინო დაწესებულების, სასტუმროს, სპორტული კომპლექსის ან სავაჭრო ცენტრის მშენებლობის განხორციელების (მიწის ნაკვეთზე დაუშვებელია ნებისმიერი სახის ავტოტექ. მომსახურების ობიექტის მშენებლობა) და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე, იმ პირობით, რომ ,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 150000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია და ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნება მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია გიორგი გოგშელიძის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთზე აშენებულია სამი სართული, შეკრულია რკინის კონსტრუქცია და მიმდინარეობს ფერმების მოწყობის სამუშაოები მერიასთან შეთანხმებული მშენებლობის ნებართვის შესაბამისად, ასევე, აშენებულია კედლები შეთანხმებული პროექტი მიხედვით, სამუშოები უწყვეტად მიმდინარეობს და პროექტის მოცულობიდან გამომდინარე, ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ 2 (ორი) წლით, რაც გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გიორგი გოგშელიძეს შორის 2021 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული №18 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, დასახლება ჭალის, ჩუბინიშვილის ქუჩის მიმდებარედ; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1200 კვ.მ; ს/კ 66.45.31.489) საგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლამდელი, ზოგადი განათლების, პროფესიული და უმაღლესი განათლების), სამედიცინო დაწესებულების, სასტუმროს, სპორტული კომპლექსის ან სავაჭრო ცენტრის მშენებლობის განხორციელების (მიწის ნაკვეთზე დაუშვებელია ნებისმიერი სახის ავტოტექ. მომსახურების ობიექტის მშენებლობა) და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე, იმ პირობით, რომ ,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 150000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია და ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნება მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გიორგი გოგშელიძეს შორის 2021 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული №18 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, დასახლება ჭალის, ჩუბინიშვილის ქუჩის მიმდებარედ; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1200 კვ.მ; ს/კ 66.45.31.489) საგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლამდელი, ზოგადი განათლების, პროფესიული და უმაღლესი განათლების), სამედიცინო დაწესებულების, სასტუმროს, სპორტული კომპლექსის ან სავაჭრო ცენტრის მშენებლობის განხორციელების (მიწის ნაკვეთზე დაუშვებელია ნებისმიერი სახის ავტოტექ. მომსახურების ობიექტის მშენებლობა) და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე, იმ პირობით, რომ

,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 150000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია და ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნება მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე